ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 155

«31» ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 20 ოქტომბრის N06/15045 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 34340 კვმ მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების), (მდებარე ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, ყოფილი საწარმოო გაერთიანება ,,ორიონის“ ტერიტორია, საკადასტრო კოდი N01.11.17.005.033) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი